ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხისთვის და ზიგზაგის II ქუჩისთის ზიგზაგის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს და ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის II ჩიხის სახელი.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032509341**
თარიღი: **03/04/2025**

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტთან ერთობლივი მუშაობის ფარგლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის I და ზიგზაგის II ქუჩებზე სახელდების ნორმალიზების მიზნით. კომისიის წარმომადგენლების მიერ ადგილზე მოხდა ტერიტორიის შეფასება, როგორც დგინდება ზიგზაგის სახელით ცნობილ ორივე ქუჩაზე გზათა ქსელი უსისტემოდაა სახელდებული, ქუჩის სახელი მინიჭებული აქვს მონაკვეთებს, სადაც არ არსებობს ფაქტობრივი გასასვლელი ან ორი დამოუკიდებელი ქუჩა ერთმანეთს ქვეითთა გადაადგილებისთვის მოწყობილი კიბით უკავშირდება. აღნიშნული ხარვეზები პრობლემებს ქმნის როგორც სანავიგაციო მიმართულებით, ასევე ართულებს შენობა-ნაგებობების თანამედროვე ნუმერაციის პროცესს.

ხსენებულის გათვალისწინებით გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის კომისიის სხდომაზე განსახილველად საჭირო ღონისძიებების გატარება.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032509717**
თარიღი: **07/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტთან ერთობლივი მუშაობის ფარგლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი. ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის I და ზიგზაგის II ქუჩებზე სახელდების ნორმალიზების მიზნით. საქმისწარმოების პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი